გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 111

2022 წლის 10 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან (ს/კ 66.45.18.159) 50 კვ.მ–ის პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 13 აპრილს შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის სახლ–მუზეუმის მიმდებარედ ს/კ 66.45.18.159 მიწის ნაკვეთიდან, საერთო ფართობის 6884.00 კვ.მ.–დან 50 კვ.მ. - ს იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2022 წლის 16 მაისის N132-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: ქალაქი გორი, სტალინის სახლმუზეუმის მიმდებარე ტერიტორია), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.159 - დან (დაზუსტებული ფართობით - 6884.00 კვ.მ) 50.00 კვ.მ - ის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 15,300.00 (თხუთმეტიათას სამასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.159 საერთო ფართობის 6884 კვ.მ.–დან 50 კვ.მ. ფართის, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, სტალინის სახლ–მუზეუმის მიმდებარედ) მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.159 საერთო ფართობის 6884 კვ.მ.–დან 50 კვ.მ. გაცემული იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) თვის ვადით, კომერციული საქმიანობის მიზნით, კერძოდ, საბავშვო ატრაქციონებისა და ბავშვთა გასართობი კუთხეების მოსაწყობად.
2. მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.18.159 საერთო ფართობის 6884 კვ.მ.–დან 50 კვ.მ-ის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 15,300.00 (თხუთმეტიათას სამასი) ლარით.

3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით.

4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემულ იქნეს საბავშვო ატრაქციონებისა და ბავშვთა გასართობი კუთხეების მოსაწყობად. მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თავისი ხარჯებით, მოახდინოს მუნიციპალური ქონების გამოთავისუფლება და ჩაბარება პირვანდელ მდგომარეობაში.

5.გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ერთი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

6.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვის ვადით.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე